შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (10.137)

7—14 სექტემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

650 მოსწავლეზე გათვლილი №1 სკოლის მშენებლობა დაიწყო

ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი გაჭიანურდა. ამ დროისთვის მოედანი სრულად მოსუფთავებულია და ახალი შენობის საძირკველიც გაჭრილია. როგორც „შირაქს“ სამუშაოების მწარმოებელ კომპანიაში ეუბნებიან, ჩამორჩენა ობიექტის ჩაბარების ვადაზე არ აისახება, რადგან დაკორექტირდა პროექტი და მშენებლობისთვის განსაზღვრული ვადა შემცირდა. პროცესის გაჭიანურების მიზეზი, დემონტაჟის განმახორციელებელი კომპანიის არაკეთილსინდისიერება გახდა, რომელმაც ვალდებულება ვერ შეასრულა. თუმცა, პროექტი დაიძრა და გეგმის თანახმად, 2025 წლის სექტემბერში, ახალი სასწავლო წელი თანამედროვე სტანდარტებით აგებულ ახალ შენობაში უნდა დაიწყოს.

650 მოსწავლეზე გათვლილი, სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ასაშენებლად 22 თვე იყო განსაზღვრული, თუმცა, დაპროექტების შემდეგ ვადა 445 დღემდე შემცირდა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საბა კონსტრაქშენი“ ახორციელებს მისი დამკვეთი კი განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული აიპი - „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოა“. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 15 826 977 ლარს, მათ შორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება 348 193.50 ლარია.

პროექტის მიხედვით ახალი შენობა სამსართულიანი იქნება და რამდენიმე ფლიგელით აშენდება. თანამედროვე მიდგომებით, მაღალსართულიანი საგანმანათლებლო შენობები რეკომენდირებული აღარ არის.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის შენობის სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 30 მაისის დასკვნის საფუძველზე გადაწყდა სკოლის შენობის დემონტაჟი. დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლის შენობაში გადახურვის ფილების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო. დემონტაჟის განსახორციელებლად დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მიერ, გამოცხადებულ აუქციონზე გამარჯვებულმა კომპანიამ შპს ,,ალპინა 888“ აიღო ვალდებულება 2023 წლის 8 აპრილის ჩათვლით სადემონტაჟო სამუშაოების დასრულებაზე, თუმცა, პროცესი გაჭიანურდა. იმის გამო, რომ კომპანიამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მიერ, წესების სრული დაცვით, მეორედ გამოცხადდა აუქციონი, რომელიც არ შედგა და მონაწილეობის მსურველთა არარსებობის გამო ჩაიშალა. ამის თაობაზე სკოლამ წერილობით აცნობა სამინისტროს. გარდა ჩასატარებელი სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისა, საპროექტო სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდებოდა მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობა, კერძოდ: სანიაღვრე კოლექტორი და სასმელი წყლის მილი, რის გამოც ფასები დაკორექტირდა.

სატენდერო პირობების თანახმად ახლადაგებული სასკოლო შენობა უნდა მოიცავდეს 30 საკლასო ოთახს (თითო კლასში არაუმეტეს 25 მოსწავლე), 4 კაბინეტს ლაბორატორიებით; დირექტორის და მოადგილის კაბინეტი მოსაცდელით; კანცელარია, ბუღალტერია-არქივით; სამასწავლებლო; ექიმის კაბინეტი; მანდატურის და დაცვის ოთახი; სანიტარული კვანძის ბლოკები მოსწავლეებისათვის, ადმინისტრაციისათვის და შშმ პირებისათვის; ასევე ბიბლიოთეკა: სამკითხველო წიგნების საცავითა და კომპიუტერული კუთხით; სააქტო დარბაზი (დარბაზი, სცენა, გასახდელები); კვების ბლოკი-სასადილო/ბუფეტი; ფოიე გარდერობით და დერეფანი; კეთილმოწყობილი ეზო და რეკრეაცია;

სპორტული დარბაზი უნდა მოეწყოს შენობის პირველ სართულზე სპეციალურად მიშენებულ ფართში. უნდა არსებობდეს სპორტული ინვენტარის სათავსი, ბიჭებისა და გოგონებისათვის ცალ-ცალკე გასახდელი, საშხაპე, სანკვანძი. ინსტრუქტორის ოთახი საშხაპით და სან-კვანძით. ღია ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი.

პირველი სკოლის შენობა 1960 წელს გაიხსნა და მრავალი თაობა გაზარდა. მაშინ მას ქართულ საშუალო სკოლას უწოდებდნენ. ბევრი დედოფლისწყაროელისთვის მშობლიური სკოლის კედლების დანგრევის გადაწყვეტილება მტკივნეული იყო, ამიტომ, დაშლამდე აქ ადამიანები იკრიბებოდნენ და სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ. მიუხედავად ამისა, ყველა თანხმდება, რომ თუკი შენობა რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარებოდა, ახალი შენობის მშენებლობის დაწყება გამართლებული იყო. სასწავლო პროცესის სხვა საჯარო სკოლაში გადატანით გამოწვეული რამდენიმეწლიანი დისკომფორტი ღირს, თუკი ქალაქი თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეს მიიღებს.

სატენდერო პირობების თანახმად, ახალი შენობა 2025 წლის 15 სექტემბერს უნდა ჩაბარდეს. მანამდე კი ქალაქის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს კვლავაც სოფელ ხორნაბუჯის სასკოლო შენობის გამოყენება მოუწევთ და მეორე (საღამოს) ცვლაში ისწავლიან. ეს დამატებით სირთულეებს ქმნის, თუმცა, სოფელ ხორნაბუჯში ტრანსპორტირებისთვის მოსწავლეებს სასკოლო ავტობუსი კვლავ მოემსახურება.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროობა - 2024

15 სექტემბერს „დედოფლისწყაროობა“ საზეიმოდ აღინიშნება

სპეციალურად ამ დღისთვის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა:

**ბავშვთა გასართობი სივრცე;*

**ჩატარდება სპორტული აქტივობები;*

**მოსიარულე ორკესტრის მსახიობები ბავშვთა განწყობის ამაღლებაზე იზრუნებენ;*

**ღონისძიებაზე მოხდება საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენა და მედალოსნების დაჯილდოვება.*

**საღამო დასრულდება კონცერტით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჯგუფი „გუფი ლენდი“.*

სახალხო დღესასწაული დედოფლისწყაროობა 2013 წლიდან ტრადიციულად, ყოველ წელს აღინიშნება.

ყველას გელით დედოფლისწყაროობაზე 17.00 საათიდან!

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი №50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 26 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

«ოპოზიციას აქვს დაკვეთა, რომ კანონპროექტს, რომელიც ქვეყანაში ლგბტ პროპაგანდას ეწინააღმდეგება, მხარი არ დაუჭირონ»

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი საქართველოს პარლამენტის მუშაობას ბოიკოტს უცხადებს, რადგან მათ არ სურთ მხარი დაუჭირონ კანონპროექტს, რომელიც ქვეყანაში ლგბტ პროპაგანდას ეწინააღმდეგება.

მისივე თქმით, ოპოზიციას აქვს დაკვეთა, რომ აღნიშნულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირონ.

„რეალურად, ბოიკოტის მთავარი მიზეზი არის ეს კანონპროექტი. მათ არ სურთ მხარი დაუჭირონ კანონპროექტს, რომელიც ქვეყანაში ლგბტ პროპაგანდას ეწინააღმდეგება. მათ აქვთ დაკვეთა, რომ ასეთ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირონ. მათ პირიქით ხელი უნდა შეუწყონ ფსევდოლიბერალურ პროპაგანდას. ჩვენთვის, ეს არის კატეგორიულად მიუღებელი, სწორედ, ამიტომ ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ, რომ არჩევნები არის რეფერენდუმი და ეს არის რეფერენდუმი, მათ შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რას აირჩევს ქართული საზოგადოება - აირჩევს ამ ფსევდოლიბერალურ ლგბტ პროპაგანდას, თუ აირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს. რადიკალური ოპოზიციის მხარეს არის ფსევდოლიბერალური პროპაგანდა, „ქართული ოცნება“ და ჩვენი მხარდამჭერები ირჩევენ ტრადიციულ ფასეულობებს“, - განაცხადა კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, როდესაც აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ისმის შეშფოთება, მათ შორის ევროკავშირის წარმომადგენლის მხრიდან, ეს „არის უკიდურესად შემაშფოთებელი“.

„ეს კრიტიკა არის ჩვენთვის შემაშფოთებელი, როდესაც ევროკავშირის ერთ-ერთი ჩინოსანი გამოდის და აკრიტიკებს კანონს, რომლის ერთადერთი მიზანი არის ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვა. არავითარი ადამიანის უფლებების შეზღუდვა და ა.შ., მხოლოდ და მხოლოდ საუბარია კანონპროექტში ლგბტ, ფსევდოლიბერალური პროპაგანდის შეზღუდვაზე. როდესაც ასეთ კანონპროექტთან დაკავშირებით ისმის შეშფოთება, მათ შორის ევროკავშირის წარმომადგენლის მხრიდან, ეს არის უკიდურესად შემაშფოთებელი. ჩვენთვის ევროპა ნიშნავს, სწორედ, რომ ტრადიციულ ფასეულობებს, ჩვენთვის ევროპა ნიშნავს ქრისტიანულ ფასეულობებს და თუ ვინმეს სხვანაირად უნდა ნარმოაჩინოს ევროპა, ეს არის რა თქმა უნდა, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელი“, - განაცხადა კობახიძემ.

კობახიძის განმარტებით, პოლიტიკოსი, რომელიც საკუთარი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობით განმსჭვალულია, სწორედ საზოგადოების განწყობებს უნდა ეყრდნობოდეს.

„ისინი, რომ მოქმედებდნენ ქართული საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად, ისინი ბუნებრივია, ამ კანონპროექტს მხარს დაუჭერდნენ, მაგრამ ისინი მოქმედებენ არა ქართული საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად, არამედ მათი ერთადერთი მოტივაცია არის ის, თუ რას იტყვის ამ ყველაფერზე კოლექტიური კუბილიუსი. ამ ყველაფრით ისინი, რა თქმა უნდა, ამ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდებიან“, - აღნიშნა კობახიძემ.

რა მოცულობის საკვები პროდუქტები იწარმოება საქართველოში

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, გასულ წელს საქართველოში თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი, რაც სასურსათო უსაფრთხოების გარანტია, თითქმის ყველა საკვები პროდუქტის შემთხვევაში შემცირდა. თუმცა, ზოგიერთი ადგილობრივი პროდუქტის წარმოება გაიზარდა.

საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, გთავაზობთ ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლებს, 2023 წლის მდგომარეობით.

სტატისტიკის მიხედვით, ხორბლის ადგილობრივი წარმოება, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 157 ათასი ტონიდან 147 ათას ტონამდე ჩამოვიდა. იქიდან გამომდინარე, რომ სასურსათო მოხმარება 559 ათას ტონას შეადგენს, აღნიშნული პროდუქტის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 22%-ია.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, 199 ათასი ტონიდან 197 ტონამდე შემცირდა კარტოფილის წარმოება. მონაცემების თანახმად, სასურსათო მოხმარება 186 ათასი ტონაა, შესაბამისად, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 87%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და ამასთან, გასულ წელს კიდევ 201%-დან 236%-მდე გაიზარდა, შემცირებულია მისი წარმოება. სტატისტიკის მიხევდით, გასულ წელს ქვეყანაში 221 ათასი ტონა პროდუქტი იწარმოა, წინა წელს 287 ათასი ტონა. აქ სასურსათო მოხმარება მხოლოდ 70 ათას ტონას შეადგენს, 128 ათასი კი ექსპორტზე გადის.

საქსტატის მიხედვით, ადგილობრივი წარმოება გაზრდილია ბოსტნეულის მიმართულებითაც. კერძოდ, 2023 წელს 142 ტონა პროდუქტი იწარმოა, წინა წელს 129 ათასი ტონა. თუმცა, 191 ათასი ტონიდან 213 ათას ტონამდე გაიზარდა სასურსათო მოხმარება, შესაბამისად, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 52%-ზე დარჩა. რაც ბოლო წლების განმავლობაში, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ასევე გაზრდილია ხორცის წარმოება. სტატისტიკის მიხედვით, 2023 წელს 78.7 ათასი ტონა პროდუქტი იწარმოა, 2022 წელს 74.6 ათასი ტონა. აქ სასურსათო მოხმარება 168.1 ათას ტონას შეადგენს, შედეგად, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 47%-ია. თუმცა, აქაც აღსანიშნავია, რომ გაზრდილია მხოლოდ ღორის და ფრინველის ხორცის წარმოება, მსხვილფეხა პირუტყვისა და ცხვრის ხორცის წარმოება კი შემცირებულია. უფრო კონკრეტულად, მსხვილფეხა პირუტყვის ხორცის წარმოება 23.8 ათასი ტონიდან, 22.7 ათას ტონამდე შემცირდა, ცხვრის - 5.2 ათასი ტონიდან 5 ათას ტონამდე, ხოლო ფრინველის ხორცის მცირედით, 24.5 ათასი ტონიდან 24.8 ათას ტონამდე გაიზარდა.

ამავე მონაცემების მიხედვით, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება 565 ათასი ტონიდან 584 ტონამდე გაიზარდა. თუმცა, სასურსათო მოხმარება გაზრდილია 715 ათასი ტონიდან 756 ათას ტონამდე, შესაბამისად, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 77%-დან 75%-მდე შემცირდა.

რაც შეეხება კვერცხის წარმოებას, 655 მლნ ცალიდან 653 მლნ ერთეულამდე შემცირდა. აქ სასურსათო მოხმარება 649 მლნ ერთეულს შეადგენს, შედეგად, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 96%-დან 93%-მდე შემცირდა.

ვეტერინარული პრეპარატის შეფუთვაზე მონაცემების ქართულად მითითების ვალდებულება ამოქმედდა

ვეტერინარული პრეპარატის შეფუთვაზე მონაცემების ქართულად მითითების ვალდებულება ამოქმედდა.

კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №345 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საბოლოო მომხმარებლისთვის განკუთვნილი ვეტერინარული პრეპარატის პირველად ან/და მეორეულ შეფუთვაზე მითითებული მონაცემები უნდა იყოს ქართულ ენაზე.

„იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატის პირველად ან/და მეორეულ შეფუთვაზე მითითებული მონაცემები არ არის ქართულ ენაზე, საბოლოო მომხმარებელს, მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ქართულ ენაზე, ანოტაციის (ჩანართი ფურცლის) სახით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით“, — აღნიშნულია ცვლილებაში.

დადგენილება გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა.

რამდენმა მიიღო სტუდენტის სტატუსი დედოფლისწყაროდან?

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს საჯარო სკოლა დაასრულა 178-მა მოსწავლემ. ჩვენ დავინტერესდით, რამდენმა კურსდამთავრებულმა გააგრძელა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

როგორც გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მაკა ჯანაშვილმა აცნობა, წლევანდელ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირდა 102 კურსდამთავრებული. გამოცდების შედეგების თანახმად დაწესებული ბარიერი წარმატებით დაძლია და სტუდენტი გახდა 97-ი. ხოლო გრანტი აიღო 23-მა აბიტურიენტმა.

გასულ 2023 წელს კი სკოლა 222-მა მოსწავლემ დაამთავრა, 132 მათგანი ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა, საიდანაც 115 სტუდენტი გახდა. დაფინანსება 24-მა აბიტურიენტმა მოიპოვა.

„2025 წელს საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ამინდის პროგნოზირებისა და ადრეული შეტყობინებების სისტემა დაინერგება“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰელსინკში, საქართველოს გარემოს ეროვნულ საგენტოსა და ფინეთის მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს შორის მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და გარემოს სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის ღონისძიებას დაესწრო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ოთარ შამუგია ფინეთის მეტეოროლოგიური ინსტიტუტის (FMI) გენერალურ დირექტორს პეტერ ტაალასს შეხვდა.

მინისტრმა საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ფინეთის მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შესარბილებლად ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„მემორანდუმი საშუალებას მოგვცემს, თქვენი ჩართულობით მოვახდინოთ მეტეოროლოგიური და გარემოსდაცვითი დაკვირვების ქსელების, ასევე, შესაბამისი აღჭურვილობის და ლაბორატორიების მოდერნიზება; ამინდის, კლიმატის და ჰაერის ხარისხის მოდელირების და პროგნოზირების სისტემების განვითარება; ამასთან, ადრეული გაფრთხილების სერვისის მიწოდების პლატფორმის მოდერნიზება, ახალი სერვისების და პროდუქტების შექმნა, რომელიც სარგებელს მოუტანს მოსახლეობას და დაინტერესებულ მომხმარებლებს; გავაუმჯობესოთ კლიმატის ცვლილების მიმართულებით კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები", - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის გაფართოების, თანამედროვე საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და საპროგნოზო სისტემების დანერგვის სამუშაოებს. ქვეყნის მასშტაბით უკვე დამონტაჟებულია 231 ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამინდის პროგნოზირების ხარისხისა და მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული გაფრთხილების ეფექტიანობის გაზრდას.

ფინეთის მეტეოროლოგიური ინსტიტუტის (FMI) გენერალური დირექტორის, პეტერ ტაალასის განცხადებით, მეტეოროლოგიური საერთაშორისო სისტემების დახვეწა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების წინაპირობას წარმოადგენს; შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით ინვესტიციებს ახორციელებს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტანდარტების შესაბამის რეფორმებს ნერგავს. ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას და ცოდნის გაზიარებას ქართველი ექსპერტებისთვის“, -აღნიშნა ფინეთის მეტეოროლოგიური ინსტიტუტის (FMI) გენერალურმა დირექტორმა.

ფინეთის მეტეოროლოგიურ ინსტიტუტში გამართულ შეხვედრას და მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებას, ოთარ შამუგიასთან ერთად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფინეთის რესპუბლიკასა და შვედეთის სამეფოში ირაკლი ხუცურაული და საქართველოს გარემოს ეროვნული საგენტოს ხელმძღვანელი ვასილ გედევანიშვილი ესწრებოდნენ.

საარჩევნო კომისიამ დროებითი წევრები აირჩია

ცესკო-მ რეგიონებში საოლქო-საარჩევნო კომისიებში დროებითი წევრები აირჩია, ვაკანსიები იყო ყველა ოლქში. ცესკოს მიერ 73-ივე ოლქში გამოცხადებულ 219 ვაკანტურ ადგილზე სულ 264 განაცხადი დარეგისტრირდა, მათგან ერთმა კონკურსანტმა ვერ გამოასწორა ხარვეზი და შესაბამისად კონკურსში მონაწილეობას იღებდა 263 პირი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, №14-ე დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიაში სამი ვაკანტური ადგილი იყო, სადაც სულ სამი კანდიდატურა დარეგისტრირდა, გასაუბრება კი 30 აგვისტოს ჩაუტარდათ. 31 აგვისტოს სხდომაზე კი ცესკო-ს წევრებმა კანდიდატები აირჩიეს. დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის შესარჩევ კონკურსში გაგა პატაშურის, ლალი ზურაშვილისა და ნინო დევრისაშვილის განაცხადი დარეგისტრირდა.

კონკურსანტებთან გასაუბრება 30 აგვისტოს დილის 10:30 საათიდან 21:30 საათამდე მიმდინარეობდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს საშუალება ჰქონდათ კონკურსანტებს გასაუბრებოდნენ და მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები მიეღოთ. ამ შესაძლებლობით ცესკოს 13-მა წევრმა ისარგებლა. ასევე ნებისმიერ მსურველს საშუალება ჰქონდა ლაივ რეჟიმში ენახა იმ კონკურსანტებთან გასაუბრების პროცესი, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ლაივში ჩართვაზე.

დედოფლისწყაროს ოლქში რეგისტრირებულმა კანდიდატებმა საკუთარი საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ ისაუბრეს და ცესკოს წევრებს მათი მოტივაცია გააცნეს. არჩევნების პროცესში ჩართვის სურვილი განმარტეს და აღნიშნეს, რომ სურთ მათი გამოცდილება და უნარები საარჩევნო პროცესებს მოახმარონ. კითხვები დაისვა გუნდურ, კრიტიკულ და სტრესულ გარემოში მუშაობის უნარებთან დაკავშირებით. კომისია დაინტერესდა, რამდენად ფლობენ ინფორმაციას კანდიდატები იმაზე, თუ რა სხვაობაა წინა არჩევნებსა და 26 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს შორის და რა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება მოუწევს ოლქის წევრს.

ცესკო-ს წევრებმა ხმათა უმრავლესობით კანდიდატებს მხარი დაუჭირეს. დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის სამ ვაკანტურ ადგილზე წარდგენილი სამივე კანდიდატი აირჩიეს.

პროექტი „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიერ ინიცირებული პროგრამა „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. პროგრამის ფარგლებში ნიკოლოზ ჯანიაშვილი ოზაანის ადმინისტრაციული ერთეულის თემს, თავწყაროს, ეწვია და ოზაანში მერის წარმომადგენელთან, ვანო ბენაშვილთან ერთად ადგილობრივთა საჭიროებებს ადგილზე გაეცნო. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დასახლებაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, თუმცა გამოწვევები რჩება.

„თავწყაროს დასახლებაში უმნიშვნელოვანესი პროექტები განვახორციელეთ: მოხდა სოფლის გაზიფიცირება და 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, ასევე მოიხრეშა შიდა გზები, აშენდა ამბულატორიის შენობა და სხვა. თავწყაროელთა პრობლემების მოგვარებას და ინფრასტრუქტურის განახლებას აქტიურად გავაგრძელებთ“ – აღნიშნა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ვანო ბენაშვილი ***(მერის რწმუნებული ოზაანსა და თავწყაროში):*** „არცერთი სოფელი არ არის დარჩენილი, სადაც სოფლის შესასვლელი მთავარი გზა არ იყოს კეთილმოწყობილი. ყველა სოფელს აქვს ასფალტირებული მისასვლელი, მხოლოდ თავწყაროა დარჩენილი. წლის დასაწყისში თქვენთან საუბარში ვახსენე, რომ ვგეგმავდით ამ გზის მოასფალტებას. ამ დროისთვის შეძენილია გზის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც დამტკიცებულია. დიდ თანხებს უკავშირდება და, ალბათ, წელს მისი დაწყება ვერ მოხერხდება, თუმცა, უახლოეს მომავალში აუცილებლად განხორციელდება. უგზოობის გამო გადაადგილება ჭირს. თუმცა, გზის მოასფალტებასთან ერთად სამომავლოდ დაგეგმილია მუნიციპალური ავტობუსები დანარჩენ სოფლებშიც მოძრაობდნენ, რაც ბევრად გააუმჯობესებს მათ ყოფას. მოგეხსენებათ ჭოეთამდე უკვე მოდის ავტობუსი.

წელს პირველი ზაფხული გვქონდა, როცა თავწყაროს წყალმომარაგების პრობლემა არ ჰქონია და გრაფიკის დაწესების საჭიროება არ დამდგარა. ეს კი ახალი ჭაბურღილის დახმარებით მოვახერხეთ. 220 მეტრ სიღრმეზე მოეწყო ჭაბურღილი, მიღებული წყლის მარაგი იტუმბება სპეციალურად მოწყობილ 50 ტონიან ავზში და შემდეგ ნაწილდება. ამას გარდა, არ გაგვიუქმებია მანამდე მოქმედი წყალმომარაგების სისტემაც და ისიც დამატებით რესურსს ქმნის. ამიტომ, ამჯერად ორივე მხრიდან მარაგდება სოფელი სასმელი წყლით. შარშან გრაფიკი მოქმედებდა, მაგრამ მისი დაცვაც ჭირდა. წელს კი, პირველი შემთხვევაა, როცა 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად მიეწოდებოდა წყალი მოსახლეობას. ამ კუთხით ადგილობრივებისგან შენიშვნები არ ისმის. ამ დროისთვის 40-მდე ადამიანი ცხოვრობს სოფელ თავწყაროში, ძირითადად ასაკოვნები არიან. ახალი მოწყობილია ამბულატორიის სივრცეც, სადაც ოზაანის ოჯახის ექიმი მერი ბაცაცაშვილი დადის. ჩასვლის გარეშეც, ინტენსიური სატელეფონო კავშირი აქვს მოსახლეობასთან და საჭიროების შემთხვევაში მათ სამსახურშია“.

„შირაქი“ ადგილობრივების მოსაზრებითაც დაინტერესდა და მოსახლეობას გაესაუბრა. სოფელში არ არის სკოლა, საბავშვო ბაღი, აფთიაქი და ბევრი საჭირო ობიექტი. ამის გამო აქ ახალგაზრდებს თითქმის ვერ შეხვდებით. მიუხედავად ყველაფრისა, თავწყაროში ამბობენ, რომ

წყლისა და ბუნებრივი აირის პრობლემის გადაჭრამ სოფელი ბევრად გამოაცოცხლა.

„რაც თავწყაროში ბუნებრივი აირის პრობლემა გადაიჭრა და ჩვენს სოფლამდე ცისფერი ალი მოვიდა, მას შემდეგ ბევრად გამარტივდა ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობები. წლების მანძილზე ისეთ პირობებში ვცხოვრობდით, შედარებაც არ შეიძლება. ვერასოდეს დავიჯერებდით, რომ აქ გაზი შემოვიდოდა. წყალიც უკეთესად მოგვეწოდება, წლევანდელ ზაფხულში უწყლოობა არ გვიგრძვნია. თებერვალში, როცა ჩვენთან მერიის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და სოფლის კრება გაიმართა, გვკითხეს, რა გვაწუხებდა, რომ სოფლის პროგრამის თანხებით ის პრობლემა მოგვარებულიყო. როცა საკითხებს გადავხედეთ და ვიმსჯელეთ, სხვა არანაირი პრობლემა არ გვაწუხებდა, მხოლოდ გზების მოხრეშვის პრობლემა დასახელდა და სოფლის პროგრამით სწორედ ეს შეირჩა. მანამდე წყლის მილები რომ გამოიყვანეს, უბნები გადაითხარა, ორმოდან აყალო ამოვიდა და ქუჩები სულ ტალახიანი იყო, ძალიან გვაწუხებდა. სოფლის შემოსასვლელი გზა კარგ მდგომარეობაში იყო, მაგრამ დანარჩენი შიდა გზები ძალიან პრობლემური იყო. უზარმაზარი გუბეები იდგა და ხალხი მოხრეშვას ითხოვდა. მოიყვანეს ტრაქტორი, ე.წ. გრეიდერით გაასწორეს და მოხრეშეს გზები. ხალხი ძალიან წვალობდა და ახლა მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა,“ - აღნიშნავენ თავწყაროელები.

როგორც დედოფლისწყაროს მერიაში განმარტავენ, მერის პროექტი „ერთი დღე სოფელში“ მომავალშიც აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ახალი სკვერი სამთაწყაროში

სოფელ სამთაწყაროში აფხაზეთის ომში დაღუპული გმირის უკვდავსაყოფად სკვერი მოეწყობა. როგორც გაზეთ „შირაქს“ სოფელ სამთაწყაროში უყვებიან, ინიციატივა ადგილობრივ მოსახლეობას ეკუთვნის. ახალი სკვერი 1993 წელს ოჩამჩირეში დაცემული **რუბენ მურვანიძის** ***სახელობის იქნება. სამუშაოები სოფლის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ბიუჯეტიდან დაფინანსდება და მას 30 ათასი ლარი მოხმარდება.***

სამთაწყაროში მერის რწმუნებული **ჯემალ დიმიტრაძე** განმარტავს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობის თხოვნა გაითვალისწინა და სოფლის საერთო კრებაზე მიღებული სკვერის მოწყობის გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. რწმუნებული ამბობს, რომ ამისათვის სამთაწყაროში ახალი სტადიონის მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორია გამოიყო და სამუშაოები უკვე დაიწყო.

სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და მას კომპანია „ტექნოსერვისი 1“ ახორციელებს. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა ბიძინა პოპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამ ეტაპზე სრულდება შემოღობვის სამუშაოები.

„ჩვენ მხოლოდ შემოღობვის სამუშაოებს ვახორციელებთ, რომელიც რამდენიმე დღეა მიმდინარეობს და დაახლოებით 2 კვირაში, თვის ბოლოსთვის დასრულებული იქნება. მოგეხსენებათ, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხების ოდენობა მცირეა, ამიტომ სრულად კეთილმოწყობისთვის საკმარისი არ იყო. მუნიციპალიტეტი სკვერის გამწვანებასა და კეთილმოწყობაზე ზრუნვას მომავალ წელს გააგრძელებს. ახლა მხოლოდ მესერის საძირკველი გაიჭრა, ჩაისხა ბეტონი და ღობის მონტაჟს ვახორციელებთ,“ – ამბობს პოპიაშვილი.

რუბენ რევაზის ძე მურვანიძე 1973 წელს 20 მარტს, შუახევის მუნიციპალიტეტის წყალსაყრის თემში შემავალ სოფელ ნაღვარევში დაიბადა. რუბენ მურვანიძის ოჯახი აჭარის მაღალმთიანი რაიონიდან კახეთში გადმოასახლეს. იმხანად აჭარელი ეკომიგრანტები დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში დასახლდნენ. მებრძოლს ზღვისპირეთის დატოვება და უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე ალაზნისპირა სასაზღვრო სოფელში გადმოსვლა მცირე ასაკში მოუწია. სამთაწყაროს საშუალო სკოლა დაამთავრა და სულ მალე აფხაზეთის კონფლიქტმა მოუსწრო. გარდაიცვალა 1993 წლის 24 ივნისს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინღდში, ცხედარი დედოფლისწყაროში გადმოასვენეს და დაკრძალულია სოფელ სამთაწყაროს სასაფლაოზე.

ნანული მურვანიძე ***(გმირის და):*** „1979 წელს გადმოგვასახლეს ხუთი დედმამიშვილი ვიყავით. ავარიული სახლი გვქონდა, მანქანა ვერ უდგებოდა, მხოლოდ ცხენებით მივდიოდით და ასე ვიმარაგებდით პროდუქტს. ჯერ ბაბუა ჩამოვიდა და მერე ჩვენც სამთაწყაროში გადმოვედით. ნიჭიერი ბავშვი იყო, შრომა უყვარდა. სკოლაში მე დამყავდა ხოლმე და ბევრი ტკბილი მოგონება დამრჩა. სულ გვერდში გვედგა და ცდილობდა ყველაფრით დაგვხმარებოდა. მხიარული იყო, სიტყვა-პასუხიანი, კითხვა უყვარდა, საკმაოდ ძლიერი ბიჭი იყო. ბავშვობიდან სამხედრო საქმე უყვარდა და სულ ჯარზე ოცნებობდა. სხვა პროფესიაზე აღარც უფიქრია, იმდენად ჰქონდა ჯარის სიყვარული. სკოლა რომ დაამთავრა, სავალდებულო ჯარში თბილისში გაიწვიეს. იქაც გამოიჩინა თავი. ჯარი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ომიც დაიწყო და ასე აღმოჩნდა კონფლიქტის ზონაში. ომიდან სულ ერთხელ ჩამოვიდა სოფელში. ორი საათი სახლში გაჩერდა. მე მეზობელ სოფელ ფიროსმანში ვარ გათხოვილი და მაშინვე ჩემთან გადმოვიდა. ორი ღამე ჩემთან დარჩა, ჩემს მეუღლესთან ერთად ინადირეს და იქეიფეს. უყვარდა ნადირობა და ქეიფში გაათენებდა ხოლმე. ბოლო შეხვედრა ძალიან ემოციურად მახსოვს. სულ გვეფერებოდა და გვკოცნიდა. ვთხოვდით, დარჩენილიყო და ომში აღარ წასულიყო. მაგრამ უშიშარი და გულადი იყო. „თავს შევაკლავ და მაინც წავალო“ – გვპასუხობდა. „ჩემი სამშობლოს გვერდით უნდა ვიყო და ქვეყანა დავიცვაო“. „ნუ გეშინია ნანული, საქართველოს უნდა ვემსახუროო“. გვიყვებოდა ფრონტის ამბებს. იძახდა, თავიდან რთული იყო, ახლა მივეჩვიე იმ რთულ პირობებსო. ორი ღამე ჩვენთან გაატარა, მერე სამთაწყაროში დაბრუნდა და ისევ ომში გაგვეპარა. ოჩამჩირეში როცა დაეცა, 6 მებრძოლს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი, ტანზე სხვა იარა არ ჰქონდა. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ჩემი ძმა სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა. ომში მეორედ წასვლიდან 4 დღის შემდეგ შეგვატყობინეს, რომ გარდაიცვალა. დაკრძალვაზე 16 იკარუსი ჩამოვიდა თბილისიდან, ჯარისკაცები, ხელმძღვანელები იყვნენ და ძალიან დააფასეს. სოფელშიც ყველამ განიცადა მისი დაკარგვა. დიდი დანაკლისი იყო როგორც ჩვენთვის, ისე სოფლისთვის. თუმცა, მას შემდეგ დღემდე ყურადღება აღარ გამოუხატავთ და არ გახსენებიათ. ახლა კი, ამ სკვერის გახსნით, გაიხსენეს მისი გმირობის ამბავი. ძალიან სასიამოვნოა, რომ სოფელმა ასე გადაწყვიტა. დიდი დაფასებაა ეს. ყოველთვის მინდოდა სოფელში მისი სახელობის რაიმე კუთხე ყოფილიყო და რუბენის გმირობის უკვდავსაყოფად დარჩენილიყო. მადლობას ვუხდი სამთაწყაროს მოსახლეობას, რომ პრიორიტეტად ეს საკითხი დაასახელეს და მხარი დაუჭირეს. მადლობა დედოფლისწყაროს მერიას, რომ ეს იდეა განახორციელა და ხალხის მოთხოვნას მხარი დაუჭირა. ყველამ პატივი დაგვდო. მადლობა მინდა ვუთხრა გაზეთ „შირაქის“ რედაქციასაც ამ ამბის გახსენებისა და გამოხმაურებისთვის. სამთაწყაროელი გოგო უყვარდა, დაოჯახებას აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა. მეამაყება და ყოველთვის ვამბობ ხოლმე, რომ გმირი ძმა მყავდა, რომელმაც თავი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და მშვიდობას შესწირა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამა გვყავდა და ოჯახის მარჩენალი რუბენი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ძალიან გაუჭირდა“.

მის უბანში და მთლიანად სოფელში რუბენ მურვანიძე ისევ ახსოვთ და მისი გმირობით ამაყობენ.

„ეს გმირი მხოლოდ გადმოცემით მახსოვს. ბედნიერი ვარ, რომ მისი უბნის ცენტრში დავიბადე და გავიზარდე. ღრმა ბავშვობაში ბევრჯერ შევსწრებივარ, მამისტოლა ხალხი პურის ჭამისას როგორ იხსენებდა ხოლმე ამ გმირს. მის ისტორიებსაც ჰყვებოდნენ და ვაჟკაცურ თვისებებზეც საუბრობდნენ. საამაყო ახალგაზრდა იყო, ხალისიანი და ყველასთვის გვერდით მდგომი. სანამ ომში გაიწვევდნენ, რამდენიმე დღით ადრე სოფლის დიდ სტადიონზე, სადაც ახლაც უამრავი ეკალ-ბარდია, თურმე ფეხბურთელს უთამაშია. შემდეგ კი ფორმა ჩაიცვა და სამშობლოს დასაცავად წავიდა“ - ამბობს ზურიკო ბუზალაძე.

ილია მარტყოფლიშვილი

ქრისტიანობა ქართველთა იდენტობის საფუძველთა საფუძველი

2 სექტემბერს დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა მართლმადიდებლურ საკითხებთან დაკავშირებული უაღრესად საჭირო და საინტერესო ლექცია.

ლექცია ეძღვნებოდა ჩვენი განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინო კაბადოკიელის საქართველოში შემობრძანების და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს, რომელიც რამდენიმე წელში აღინიშნება. საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით და მთავრობის ხელშეწყობით დედაქალაქსა და რეგიონებში წინსწრებით იმართება. ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავ ლექციათა ხანგრძლივი ციკლის მიზანია, ადამიანები კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ და გაიაზრონ ქრისტიანობის როლი, როგორც ქართველთა იდენტობის საფუძველთა საფუძველი, რადგან საქართელოს საზრისი სწორედ ქრისტიანობაა. ამ მისიით ესტუმრნენ დედოფლისწყაროს მაკა (მანანა) ჩხაიძე, ისტორიის დოქტორი, ხატმწერი და ასმათ ოქროპირიძე-ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

დარბაზი სავსე იყო. აქ თავი მოიყარეს დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა და მრევლმა.

მაკა ჩხაიძის საუბრის თემა გახლდათ „წმინდა ნინო - დედა ქართლისა“. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ქალის როლს საქართველოში და აღნიშნა, რომ საქართველო გამორჩეული ქვეყანაა, სადაც მომაქცეველი ქალია და რომ ეს, ისევ და ისევ, ღვთისმშობელს უკავშირდება, რადგან ჩვენი ქვეყანა, ჩვენდა საბედნიეროდ, წმინდა მარიამის წილხვედრია და მისი მეოხებით ფეხზე დგას ჩვენი მრავალ ჭირ–ვარამ გამოვლილი სამშობლო. ღვთისმშობლის მოწაფე გახლდათ წმინდა ნინო და მომხსენებელმაც ვრცლად ისაუბრა მათ ურთიერთობაზე, ნინოს ღვაწლზე ჯერ იერუსალიმში, როგორც უფლის საფლავის მსახურზე და შემდგომ საქართველოში მისი, როგორც საქართველოს მომქცეველის და ქრისტეს კვართის დამცველისა. ვრცელი საუბარი მომხსენებელმა დაასრულა პატრიარქის სიტყვებით, რომ ქალწულმა წმინდა ნინომ იშვილა ქართველი ერი, ის ზრუნავდა , ზრუნავს და მომავალშიც იზრუნებს მასზე.

ქალბატონმა ასმათ ოქროპირიძემ მსმენელს შესთავაზა თემა „სიცოცხლის ხე და გოლგოთა“. სულგანაბული უსმენდა დამსწრე საზოგადოება ამ ხალისით და ლაღად მოსაუბრე, განსწავლული ადამიანის უაღრესად საინტერესო თხრობას იმის თაობაზე, თუ რამ მოიყვანა საქართველო დღემდე, ღრმა თეოლოგიური წიაღსვლებით ახსნა კავშირები საქართველოს გეოგრაფიული თუ ბუნების მიერ ბოძებული ფლორისა და ფაუნის კავშირები ქრისტიანობასა და ქრისტესთან, ანალოგიური კავშირები ქართულ ქვევრსა, ყურძენსა, ღვინოსა, ხორბალსა და ქრისტეს სისხლსა და ხორცთან, შეგვახსენა სვეტიცხოველში სვეტის აღმართვის ისტორია, როგორც კვართზე ამოსული სიცოცხლის ხისა და ძალიან ბევრი საინტერესო ფაქტი საქართველოს და ქრისტიანობის ისტორიიდან.

ლექტორთა მონათხრობს მეტ ეფექტს მატებდა დიდ ეკრანზე წარმოდგენილი სლაიდები, რომელიც ფაქტებით ამყარებდა და თემატურად მიჰყვებოდა ლექციებს.

მსმენელმა ოვაციით და ტაშით გამოხატა მოწონება და მადლიერება სტუმრების მიმართ და გამოთქვა სურვილი ანალოგიური საღამოების უფრო ხშირად გამართვის თაობაზე.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია დედოფლისწყაროს მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ნიკოლოზ ლომსაძემ.

ნაირა გორაშვილი

„ქართველების მებრძოლი სული–ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში“

ისტორია იგივე დიდებული ტაძარია, სადაც ერი მოიხსენიებს თავის გამოჩენილ ადამიანებს და მოგვითხრობს მათ საარაკო საქმეებს, ერი, რომელსაც არ ახსოვს თავისი წარსული, რაზედ უნდა ააშენოს მომავალი?! თუ ისტორია დავიწყეთ დაგვიწყნია ჩვენი ცხოვრების ფესვებიც ,ჩვენი ცხოვრების საძირკველი. ამიტომ არის ნათქვამი ერის ბრძენისგან, რომ „აწყმო შობილი წარსულისგან, არის მშობელი მომავალისაო. (ი. ჭავჭავაძე)

ოდითგანვე ქართველი ერი გამოირჩეოდა მებრძოლი და უტეხი სულით. ბევრი ქართველი ვაჟკაცი აღიზარდა და დაწინაურდა ბრძოლების დროს, როდესაც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი დედოფლისწყაროში, მაშინდელ მეფის წყაროში დაბანაკდა, ქართველებმა სამსახური დაიწყეს ამ პოლკში. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი მე-18 საუკუნეში პეტრე პირველის ინიციატივით შიქმნა, 200წელზე მეტხანს იარსება და მუდამ ავანგარდში იყო. უზარმაზარი იმპერიის დაცვის ყველაზე პასუხსაგებ დავალებებს ასრულებდა.განსაკუთრებული დამსახურებისთვის პოლკს მინიჭებული ჯქონდა უფლება შემადგენლობის სიაში მეფეებიც ჰყოლოდა. ქართველი თავადებიდან იყვნენ ანდრონიკაშვილები - ენდრონიკაშვილები, რომლებიც თავადთა საგვარეულოს წარმოადგენდნენ ფეოდალურ საქართველოში. ჩამომავლები არიან ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე კომნენოსისა, რომლის შვილი ალექსი კახეთში დამკვიდრებულა XII საუკუნის მე-2 ნახევარში. ანდრონიკასვილების მამულემი „საანდრონიკო“ მოიცავდა კახეთის სოფლებს.

XVI საუკუნიდან ანდრონიკაშვილებმა სამემკვიდრეო მიიღეს ქიზიყში, კერძოდ, ქიზიყის მოურავობა, ისინი ზოგჯერ ზურაბიშვილების, ან აბელაშვილების გვარითაც იხსნიებიან.

ანდრონიკაშვილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. სამხედრო და დიპლომატიურ ასპარეზზე ეკავათ ბოდბის, ნინოწმინდის, ალავერდისა და ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრები. ანდრონიკაშვილი აბელი იყო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქიზიყის მოურავი იყო. იგი დაწინაურდა კახეთში ბეჟან ხანის მმართველობის დროს, შემდეგ ქიზიყის მოურავობა მისმა შთამომავლებმა პაატა და რევაზ ანდრონიკაშვილებმა მიიღეს. თამაზ პაატას ძე კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ერეკლე II-ის მამიდაშვილი იყო. შაჰ-აბასის ლაშქრობის დროს მან დაამარცხა მტერი, აღადგინა ციხე-სიმაგრეები, მეთაურობდა ხორნაბუჯის ციხის დაცვას. შემდგომში მათ შთამომავალს ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს მიენიჭა ალმასებით შემკული წმინდა ანას II ხარისხის ორდენი.

ანდრონიკაშვილი ზაქარია თამაზის ძე სიმამაცის გამო ცნობილი იყო „მიწის მგლის“ მეტსახელით. 1880 წელს დანიშნეს ქიზიყის მოურავად.

ივანე ანდრონიკაშვილი დანიშნეს თბილისის სამხედრო გუბერნატორად. მან ხუთიათასიანი რაზმით დაამარცხა ალიფაშას 20 ათასიანი კორპუსი, ხოლო მდინარე ჩოლოქთან ათი ათასიანი რაზმით გაანადგურა სელიმ-ფაშას 30 ათასიანი კორპუსი. აღსანიშნავია, რომ ჩოლოქის ბრძოლის პერიოდში ივანე ანდრონიკაშვილს მინდობილი ჰქონდა მთელ საქართველოში განლაგებული რეგულარული ჯარისა და სახალხო ლაშქრის ხელმძღვანელობა, ამავე დროს თბილისის გუბერნატორობასთან ერთად იგი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობასაც ასრულებდა.

დედოფლისწყაროში, მაშინდელ მეფის წყაროში მეორე ცნობილი გვარის წარმომადგენლები იყვნენ ჭავჭავაძეები. ჩვენი მუზეუმის ისტორია თითქმის ყველამ იცის, ასევე ცნობილია ჭავჭავაძეების სიყვარულის ისტორიები. ნინო ჭავჭავაძის მეგობრობა კატენკასთან.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი-ქართველი საზოგადოების კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო. მის სახლში თბილისსა თუ წინანდალში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გარდა თავს იყრიდნენ საქართველოში მოღვაწეე დეკაბრისტები თუ გამოჩენილი ევროპელი საზოგადოება. 1822 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ მიიღო პოლკოვნიკის ჩინი და იგი ნიჟეგორიოდის პოლკის მეთაურად დანიშნეს. XIX საუკუნის 40-ან წლებშიც ალექსანდრე ჭავჭავაძეს მაღალი ადამინისტრაციული თანამდებობები ეკავა კავკასიის სამხედრო კორპუსი. მისი ვაჟი დავითი რუსეთის არმიის გენერალ ლეიტენანრტი იყო. 1840 წელს ჩარიცხეს გენერალ რაევსკის რაზმში, შემდეგ შტაბს კაპიტნის ჩინი მიიღო და კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაურის ვორონცოვის ადიუტანტობა.

წინანდალში დრაგუნების კარგი მასპინძელი ყოფილა გულბაათ ჭავჭავაძეც. თვითონ იგი და მისი სამი ძმა: იასონი, სპირიდონი და დიმიტრი მსახურობდნენ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. იქვე ჩაირიცხა გულბათის ვაჟი ზაქარიაც, რომელმაც კავკასიის დევგმირის სახელი მოიხვეჭა. როგორც ამბობენ, ამ პოლკში 24 ჭავჭავაძე მსახურობდა სხვადასხვა დროს. ერთ პერიოდში, როდესაც 12 ჭავჭავაძე ერთდროულად მსახურობდა მათ შორის იყო გრიგოლ ჭავჭავაძე–ილია ჭავჭავაძის მამა. მან მალევე თავი დაანება სამსახურს და თავის მამულში დასახლდა ყვარელში.

აქვე მსახურობდა გულბაათის ვაჟი არჩილი. 1883 წელს არჩილ ჭავჭავაძეს მიენიჭა პოლკოვნიკობა. ხოლო გულბაათის უფროსი ვაჟი ზაქარია მეთაურიბდა ტვერის დრაგუნთა პოლკს, რომელიც მონაწილეობდა შამილის ციხესიმაგრის იერიშში (ეს პოლკიც იდგა დედოფლისწყაროში).

მესამე ცნობილი და ასევე მეომარი გვარი იყო ორბელიანების. ერთ-ერთი იყო რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი (1834–1837წწ).

გრიგოლ ორბელიანის დედა ხორეშანი, ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო. 1871 წელს მეფის ხელისუფლებამ გადაუხადა სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. მას უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი გადასცეს. გრიგოლ ორბელიანის მამოძრავებელი ძალა პატრიოტიზმი იყო, მასში იგრძნობოდა ძლიერი სული და საბრძოლო შემართება. ადამიანის უწმინდეს მოვალეობად გრიგოლ ორბელიანს მამულის სიყვარული, სამშობლოსათვის თავდადება მიაჩნდა. მან თარგმნა მრავალი ნაწარმოები: ი.კრილოვის, ვ. ჟუკოვსკის, მ.ლერმონტოვის და სხვათა.

ამრიგად, ბევრი პატრიოტი საზოგადო მოღვაწე მსახურობდა დედოფლისწყაროში, მათ გარკვეული კვალი დატოვეს მაშინდელ ცხოვრებაში, ისინი მეგობრობდნენ ნეჩვოლდოვებთან, გრიგოლ ორბელიანი შეყვარებულიც კი ყოფილა ამ ოჯახის დიასახლისზე.

ნეჩვოლოდოვების სახლი XIX საუკუნეში იყო ერთგვარი კულტურის ცენტრი, გადმოსახლებულთა თავშეყრის ადგილი, მათი აზრთა გაზიარების, კამათის, ფიქრისა თუ ოცნების ადგილი. ბევრმა განათლებულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა კატენკას აღზრდა-განათლებაში და საბოლოოდ იგი ჩამოყალიბდა ნიჭიერ, უცხო ენებზე მოლაპარაკე განათლებულ პიროვნებად.

ნეჩვოლოდოვების სახლის ახლოს ცხოვრობდნენ სპირიდონ ჭავჭავაძის მშობლები და მათი ოჯახები მეგობრობდნენ. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ხშირად ისმენდა კეთილი, ალერსიანი ეკატერინა გრიგორის ასულის მონაყოლს ცნობილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის შესახებ, რომელმაც არაერთი ლექსი უძღვნა და ჩაუწერა მას ალბომში. იგი ყვებოდა ალექსანდრ პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის შესახებაც. თუ როგორ იცეკვა დიდ დარბაზში მასთან ერთად „მაზურკა“. მისი ჩანაწერებიდან ცნობილი ხდება კატენკას დამოკიდებულება ნინო ჭავჭავაძესთან, გრიბოედოვის მეუღლესთან.

ჩვენი მუზეუმი აგრძელებს მაშინდელ სალონურ ცხოვრებას. აქ ხშირად იკრიბებიან სოფელში მიოღვაწე წარმატებული მხატვრები, პოეტები, ხელოვანი ადამიანები, გვაქვს მათი ნამუშევრების გამოფენები. ცხოვრება გრძელდება, ჩვენ ვაგროვებთ ახალ ნამუშევრებს, ახალ ავტორებს ვუწყობთ გამოფენებს, ვაძელევთ მოტივაციას შემდგომი მუშაობისთვის.

ქეთევან მჭედლიშვილი
დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი

„იარაღის შესახებ“ კანონში ლიცენზიის - ნებართვის შეჩერების წესი შემოდის

„იარაღის შესახებ“ კანონში ლიცენზიის - ნებართვის შეჩერების წესი შემოდის. აღნიშნული დაკავშირებული იქნება ნებართვის მფლობელის ფსიქიკურად, ასევე ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით დაავადებასთან.

საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტს შს სამინისტრომ წარუდგინა.

პროექტის გათვალისწინებით, რომელიმე ამ გარემოების წარმოშობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით მიღების შემთხვევაში, ლიცენზიას ან იარაღის შეძენის (შენახვის და ტარების უფლებით) ნებართვას იურიდიული ძალა ავტომატურად შეუჩერდება. ნებართვის მფლობელს იარაღის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განკარგვის უფლება 30 დღის ვადით შეუნარჩუნდება.

უფრო კონკრეტულად, ნებართვის მფლობელის ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 48 საათის ვადაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ვალდებული იქნება ნებართვის შეჩერების თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს შეატყობინოს.

შეტყობინების მიღების შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირი იარაღის ნებართვის მფლობელის საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე გამოცხადდება და ნებართვის მფლობელს ნებართვის შეჩერების თაობაზე შეატყობინებს. ნებართვის შეჩერების თაობაზე შეტყობინებასთან ერთად, უფლებამოსილი პირი იარაღის ჩამორთმევას მოახდენს.

პირი ვალდებული იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირი, იარაღის ჩამორთმევის მიზნით, საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე დაუშვას. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება ექნება „პოლიციის შესახებ“ კანონის შესაბამისად იძულების ღონისძიებები გამოიყენოს.

იმ შემთხვევაში, თუ პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილ პირს საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე იარაღის ჩამოსართმევად არ დაუშვებს, მას შესაბამისი ნებართვა გაუუქმდება.

ამასთან, კანონპროექტით, ნებართვის მფლობელს ლიცენზიის შეჩერების თაობაზე შეტყობინების მომენტიდან, 30 დღიანი ვადა განესაზღვრება, რათა შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრა და იარაღის კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგვა უზრუნველყოს.

შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრა შესაძლებელია გულისხმობდეს ერთიან საინფორმაციო ბაზაში პირის შესახებ შესაბამისი მონაცემების რედაქტირებას, წაშლას და სხვა.

თუ ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის შეჩერების თაობაზე შეტყობინების მომენტიდან 30 დღის ვადაში შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას არ უზრუნველყოფს, მას ლიცენზია გაუუქმდება.

ცვლილებები, რომელიც პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა - რა უნდა გაითვალისწინოთ

პირველი სექტემბრიდან საქართველოში რამდენიმე ცვლილების ამოქმედება იგეგმება. გთავაზობთ აღნიშნული ცვლილებების ჩამონათვალს:

მოტოციკლეტებისა და მოპედების ე.წ ბასლაინზე გადაადგილება დასაშვები გახდა

პირველი სექტემბრიდან მოტოციკლეტებსა და მოპედებს ე.წ ბასლაინზე გადაადგილების უფლება ექნება. შესაბამისი საკითხი მიმდინარე წლის ივლისში პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და 77 ხმით ერთხმად დაამტკიცა.

საკითხის ინიციატორი „ქართული ოცნების“ დეპუტატები იყვნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ „მოტოციკლებსა და მოპედებს ბასლაინზე დაშვება ევროპის ბევრ ქვეყანაშია“. ინიციატორების განცხადებით, ცვლილება გააუმჯობესებს გზებზე მოძრაობას და შეამცირებს ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობას.

ამის საპირისპიროდ, საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მევლუდ მელაძე აღნიშნავდა, რომ ცვლილებები რისკის შემცველია და მოტოციკლებსა და მოპედებთან საგზაო შემთხვევების რისკებს გაზრდის.

ამავე პროექტის გათვალისწინებით, თბილისის საავტომობილო გზებზე, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული ადგილისა და დროის დარღვევით მოძრაობა გამოიწვევს როგორც M3, N2 და N3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების, ასევე T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების 1000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას. იგივე ქმედების განმეორებით და ყოველი შემდგომი ჩადენის შემთხვევაში ჯარიმა 3 000 ლარია.

ცნობისთვის, T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება არის ნებისმიერი თვლიანი ან მუხლუხა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია სასოფლო- სამეურნეო ან სატყეო სამუშაოების შესასრულებლად.

ქიმწმენდის ობიექტებს რეგისტრაცია მოუწევს

დღეიდან ამოქმედდა კიდევ ერთი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ქიმწმენდის ობიექტებს რეგისტრაცია მოუწევს. აღნიშნულს „ქიმწმენდის ობიექტების მოწყობის, ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტი ითვალისწინებს.

უფრო კონკრეტულად, რეგლამენტის მიხედვით, ქიმწმენდის საწარმო ვალდებულია, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დარეგისტრირდეს როგორც „ქიმწმენდის საწარმოდ“.

ამასთან, ქიმწმენდის საწარმოში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეცტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სათანადო წესით გამოყენების, მოვლისა (გაწმენდა და რეცხვა) და შენახვის პირობები. დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ქიმწმენდის საწარმოში დასაქმებული პირის პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

დოკუმენტის თანახმად, დაუშვებელია ქიმწმენდის საწარმოების განთავსება საცხოვრებელი, სამედიცინო დაწესებულების, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულების შენობებში. ასევე აკრძალულია ქიმწმენდის მიმღები პუნქტების განთავსება მაღაზიებში (სუპერმარკეტების იმ სივრცეებში), რომლებიც კვების პროდუქტების რეალიზაციას ახდენენ.

ევროკავშირის აეროპორტებში სითხის გადატანაზე შეზღუდვები დაწესდა

პირველი სექტემბრიდან ევროკავშირის აეროპორტებმა მგზავრებისთვის სითხის გადატანაზე კვლავ შეზღუდვები დააწესა. უფრო კონკრეტულად, ხელბარგში 100 მლ-ზე მეტი სითხის გადატანა იკრძალება.

Independet-ის ცნობით, ბოლო წლებში ევროპის ბევრ აეროპორტში (გერმანიაში, ირლანდიაში, იტალიაში, ლიტვაში, ნიდერლანდებში, შვედეთში, მალტაში, ფინეთს, დიდ ბრიტანეთში) ახალი C3 სკანერები დამონტაჟდა. მაშინ ამ მოწყობილობების საშუალებით მოიხსნა სითხის ოდენობის შეზღუდვა და მგზავრებს ზურგჩანთებიდან და ჩემოდნებიდან ბოთლებისა და ქილების ამოღება არ სჭირდებოდათ.

თუმცა, ევროკომისია ახლა აცხადებს, რომ ახალი სკანერები, რომლებიც ადრე განიხილებოდა მოწინავე ტექნოლოგიის ნიმუშად, „სახიფათოა“, რადგან ისინი თხევად აალებად ნივთიერებას ჩვეულებრივი წყლისგან ვერ განასხვავებენ. სკანერები უნდა გაუმჯობესდეს, ხოლო სანამ პრობლემა არ მოგვარდება, ევროპის აეროპორტებმა აპრობირებული მოწყობილობები უნდა გამოიყენონ და სითხეების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით ძველ პროცედურებსა და წესებს დაუბრუნდნენ.

ცნობისთვის, გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა დიდმა ბრიტანეთმაც, რომელიც ამჟამად ევროკავშირის წევრი სახელმწიფო არ არის.

დამატებით ვის მოუწევს მართვის გამოცდის რეალურ მოძრაობაში ჩაბარება?

საქართველოს მთავრობამ უკვე დამტკიცა და გამოაქვეყნა საქართველოს 2022 - 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, მართვის მოწმობის მისაღები გამოცდა ორ ეტაპიანი კიდევ რამდენიმე კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის გახდება. საუბარია, „CE“, „DE“ კატეგორიების „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებზე.

ეს კი ნიშნავს, რომ მართვის მოწმობის მისაღებად პრაქტიკული გამოცდის ქუჩაში, რეალურ პირობებში ჩაბარება ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზეც სავალდებულო იქნება.

როგორც გეგმაშია აღნიშნული, ამ სატრანსპორტო საშუალებებს რეალურ პირობებში გამოცდის ჩაბარება შეეძლებათ შემდეგ მუნიციპალიტეტებში: რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, საჩხერე, ოზურგეთი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი.

გეგმის თანახმად, სახელმწიფოს ამისთვის ბოლო ვადად 2024 წლის მე-4 კვარტალი აქვს განსაზღვრული, ბიუჯეტი კი 1 მლნ ლარს შეადგენს.

ცნობისთვის, ზემოთ აღნიშნული კატეგორიები მოიცავს შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს:

- „C1E“ - „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს;
- „D1E“ - „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომელიც არ არის განკუთვნილი მგზავრთა გადასაყვანად და რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს.

თავის მხრივ „C1“ და „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილებად კი ითვლება:

- „C1“ – ავტომობილი (გარდა იმ ავტომობილისა, რომელიც მიეკუთვნება „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება 7 500 კგ-ს; „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს
- „D1“ – ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს; „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს.

სამედიცინო მოწყობილობები რეგულირებას დაექვემდებარება – მთავრობა პროექტზე მუშაობს

მთავრობა სამედიცინო მოწყობილობების მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნაზე მუშაობს, ამის შესახებ პარლამენტის 2024 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაშია აღნიშნული.

როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, დღეის მდგომარეობით ქვეყანაში არ არსებობს სამედიცინო მოწყობილობების მარეგულირებელი ჩარჩო მათი წარმოების, იმპორტის, დისტრიბუციის, აღრიცხვისა და მიკვლევადობის, ხარისხზე ზედამხედველობის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის კუთხით.

ამასთან, მთავრობის გეგმის თანახმად, ახალი კანონის პროექტი დაარეგულირებს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სამედიცინო მოწყობილობების, მათ შორის, ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების და აქსესუარების ბაზარზე განთავსებასთან, ბაზარზე ხელმისაწვდომობასა და მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„კანონით განსაზღვრული იქნება ეკონომიკური ოპერატორების როლები და ვალდებულებები, მათ შორის, მწარმოებლის, იმპორტიორის, დისტრიბუტორის ვალდებულებები; ამავე კანონით დაწესდება მოწყობილობების შესაბამისობის CE მარკირება; შესაძლებელი გახდება სამედიცინო მოწყობილობების იდენტიფიკაცია მიწოდების ჯაჭვში, რეგისტრაცია, უსაფრთხოებისა და კლინიკური ეფექტურობის უზრუნველყოფის რეგულირება; კანონი ასევე დაადგენს სამედიცინო მოწყობილობების კლასიფიკაციას, მოწყობილობების ბაზარზე განთავსების შემდგომი მეთვალყურეობის პროცესს, ასევე სერიოზული გვერდითი მოვლენებისა და ინციდენტების ანგარიშების აღრიცხვასა და მაკორექტირებელი ზომების გატარების წესებს,“ – აღნიშნულია გეგმაში.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

პირველი დღე სკოლაში და ბავშვის ემოცია

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი. ბევრი ბავშვი პირველად შეაღებს სკოლის კარს და მისთვის ახალი სამყარო გადაიშლება. ეს დღე ნამდვილი დღესასწაულია, რადგან ყველა მათგანის ცხოვრებაში იწყება ახალი თავგადასავლები, სადაც ბევრ სიახლესთან ერთად იქნება უამრავი მოულოდნელობა და ბევრი სიხარული.

ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის ემოციების მრავალფეროვნებით გამოირჩევა როგორც ბავშვებისთვის, განურჩევლად მათი ასაკისა, ასევე მშობლებისთვისაც. თუმცა, ეს პერიოდი, სკოლასთან და პედაგოგებთან შეხვედრა, სასწავლო პროცესში ჩართვა, სასკოლო სწავლების დაწყება პირველკლასელისთვის მაინც განსაკუთრებით შთამბეჭდავია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოვლენის მიმართ ყველა პირველკლასელის დამოკიდებულება ერთგვაროვანი ნამდვილად არ არის. ბავშვების უმრავლესობა, როგორც წესი, სიხარულით ელის სკოლაში წასვლას. მოსწავლის სტატუსის მიღება მისთვის ძალიან მიმზიდველია, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ პირველ დღეს სკოლაში სიხარულით წასული ბავშვი მეორე დღეს უარს აცხადებდეს იქ დაბრუნებაზე და სერიოზულ პროტესტს გამოხატავდეს საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პირველ დღეს ბავშვი ტირილით მიჰყავთ სკოლაში, დედის გარეშე არ ჩერდება გაკვეთილზე, მეორე დღეს კი სიხარულით გარბის სკოლაში და მშობლის გარეშე ესწრება გაკვეთილებს. პირველკლასელებს შორის არცთუ ისე მცირეა იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მოუთმენლად, სიხარულით ელიან სასკოლო სწავლების დაწყებას და ყოველგვარი პრობლემის, გართულების გარეშე ირგებენ მოსწავლის სტატუსს.

რა ფაქტორები განაპირობებს ბავშვის სკოლასთან და სასწავლო პროცესთან დამოკიდებულების ხასიათს სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში:

•ბავშვის „დაშინება“ სკოლით და სწავლით. არის შემთხვევები, როცა ოჯახში ყველა დაკავებულია თავისი საქმით, 5-6 წლის პატარა კი აქეთ-იქით დარბის, ყველას ეხვეწება, რომ მასთან ერთად ითამაშონ, ამ დროს ოჯახის რომელიმე წევრის მიერ ნათქვამმა ერთმა ფრაზამ — „აი, წახვალ სკოლაში და ვნახოთ, მაშინაც თუ მოახერხებ ასე თავისუფლად სირბილს და თამაშს, იქ იმდენ დავალებას მოგცემენ, რომ თავს ვერ აიღებ წიგნებიდან და ჩვენც მოვისვენებთ“, — შეიძლება სამუდამოდ შეაძულოს ბავშვს სკოლაც და სწავლაც. რატომ უნდა მოსწონდეს მას ის ადგილი, ის საქმიანობა, რაც მის თავისუფლებას შეზღუდავს და იმის კეთების საშუალებას არ მისცემს, რაც ყველაზე მეტად სიამოვნებს — ვეღარ ითამაშებს, მულტფილმებს ვერ უყურებს და საერთოდ, ვერ „დატკბება“ თავისუფლებით;

•**სკოლამდელ პერიოდში თანატოლებთან სოციალური ურთიერთობის დეფიციტი.** თუ ბავშვი საბავშვო ბაღში არ დადის, ამასთან, დედისერთაა და მოკლებულია თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას, დიდი ალბათობით მას სერიოზული სირთულეები ექნება თანაკლასელებთან ურთიერთობაში, რაც სკოლას და სასწავლო პროცესს ნამდვილად დაუკარგავს მომხიბვლელობას;

•**სკოლისათვის მზაობის არასათანადო დონე.** თუ ბავშვი სათანადოდ არ არის მომზადებული სკოლისათვის როგორც ინტელექტუალურად, ასევე ფიზიკურად და სოციალურად, მას გაუჭირდება იმ მოთხოვნების შესრულება, რასაც სკოლა წაუყენებს, ხშირად დაიმსახურებს შენიშვნებს და საყვედურებს. ეს ყოველივე კი სკოლას მიმზიდველად და საყვარელ ადგილად ნამდვილად არ აქცევს;

•**ჯანმრთელობის მდგომარეობა.** თუ ბავშვი ამა თუ იმ ქრონიკული დაავადების მატარებელია და არ ხდება ამის გათვალისწინება სასკოლო გარემოში, რაც პატარას სერიოზულ სირთულეებს უქმნის, სკოლა ნამდვილად ვერ იქცევა ისეთ ადგილად, სადაც ის სიხარულით გაეშურება;

•**არასწორი ოჯახური აღზრდა, ჰიპერმზრუნველობა.** თუ სკოლამდელ პერიოდში ბავშვი ოჯახის წევრების მხრიდან საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა, კვარცხლბეკზე ჰყავდათ შემოსმული და მის ყველა სურვილს სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდნენ, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ სკოლა, სადაც ის ერთ-ერთი რიგითი მოსწავლე იქნება და საყოველთაო ყურადღების ცენტრში ვერ აღმოჩნდება, მიმზიდველი და მოსაწონი ადგილი აღმოჩნდეს მისთვის;

•**წერა-კითხვის წინასწარ სწავლება.** ბევრი მშობლის სურვილია, რომ მისმა შვილმა სკოლაში შესვლამდე შეისწავლოს წერა-კითხვა, თვლა, უმარტივესი, თუმცა სკოლამდელისათვის შეუსაბამო და არასაჭირო მათემატიკური ოპერაციების შესრულება; ამისათვის, მან შეიძლება მასწავლებელიც კი დაიქირაოს ბავშვისთვის გაკვეთილების ჩასატარებლად. ძნელი წარმოსადგენია, რომ პირველკლასელისთვის საინტერესო იყოს იმ გაკვეთილზე ჯდომა, სადაც მასწავლებელი პატარებს თითო-თითო ასოს ცნობას და ამოკითხვას ასწავლის, მას კი უკვე საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტების კითხვა შეუძლია. ამასთან ერთად, თუ წერა-კითხვის სწავლება სკოლამდელ პერიოდში ძალდატანებით ხასიათს ატარებს და ნაცვლად თამაშისა და გართობისა ბავშვს „გაკვეთილზე უწევს ჯდომა“, დიდი ალბათობით მას სკოლა და სწავლა ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე შეიძლება შესძულდეს. სკოლამდელ პერიოდში ხომ თამაშია ქცევის წამყვანი ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ბავშვი სწორედ თამაშის პროცესში ვითარდება; და თუ ამ დროს ჩვენ თამაშს სწავლით ჩავანაცვლებთ, შეიძლება მომავალში ეს ბავშვის განვითარებაში სერიოზული პრობლემების აღმოცენების მიზეზიც კი გახდეს;

•**ზედმეტი დატვირთვა და მკვეთრი ცვლილებები ბავშვის ცხოვრებაში** - თუ აქამდე სულ თამაშობდა, ახლა სულ უნდა ისწავლოს. ნებისმიერი ასაკის ადამიანის და, მით უმეტეს, ბავშვის ფსიქიკას უჭირს ასეთი ნახტომის გაკეთება.

რეკომენდაციები — რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბავშვს სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებიდან დადებითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს სკოლის, მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მიმართ:

•უპირველეს ყოვლისა, სასურველია, გავითვალისწინოთ, რომ მართალია, ბავშვი სკოლაში მოვიყვანეთ, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის მოსწავლე და გარკვეული დრო დასჭირდება მოსწავლის როლის უმტკივნეულოდ მისაღებად. ამდენად, არ იქნება გამართლებული მას ისეთივე მოთხოვნები წავუყენოთ და სასკოლო წესების ისეთივე დაცვა მოვთხოვოთ, როგორც თუნდაც მეორეკლასელ მოსწავლეს მოვთხოვდით;

•მოვერიდოთ ბავშვის „შეშინებას“ სკოლით და სწავლით. შევეცადოთ, სკოლა საინტერესო და მიმზიდველ ადგილად „დავუხატოთ“ - ვუთხრათ, რომ სკოლაში ის ბევრ რამეს ისწავლის, ახალს და საინტერესოს გაიგებს, თუმცა, თამაშის დროც ექნება და არ მოუწევს მხოლოდ სწავლით დაკავება;

•შევეცადოთ, შევისწავლოთ ბავშვის მოლოდინები სკოლის მიმართ და ეს მოლოდინები, შეძლებისდაგვარად, რეალობასთან დავაახლოოთ იმედგაცრუების და სკოლისადმი უარყოფითი დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად;

•მოვერიდოთ ბავშვის გადატვირთვას მეცადინეობით, დამატებით წრეებზე სიარულით. შევეცადოთ, დღის რეჟიმი ისე შევუდგინოთ, რომ თამაშის და დასვენების დროც დარჩეს;

•შევუქმნათ ბავშვს თანატოლებთან ურთიერთობის, მათთან თამაშის პირობები. ამის გაკეთება განსაკუთრებით მაშინ არის საჭირო, თუ ის საბავშვო ბაღში არ დადიოდა;

•კარგი იქნება, თუ უარს ვიტყვით ჰიპერმზრუნველობაზე და ბავშვს გარკვეულ სიტუაციებში (ტანსაცმლის ჩაცმა, გახდა, ჭამა, სათამაშოების დალაგება, სასკოლო ნივთების ჩალაგება ჩანთაში) დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას მივცემთ. ეს მხოლოდ სასიკეთოდ იმოქმედებს მის განვითარებაზე და სასკოლო გარემოსთან უმტკივნეულოდ ადაპტაციასაც შეუწყობს ხელს;

•მოვერიდოთ ბავშვისთვის წერა-კითხვის წინასწარ სწავლებას; რა თქმა უნდა, თუ ის განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენს და თავად არ ცდილობს ასოების ამოკითხვას. ასეთ შემთხვევაში შევეცადოთ ასოების ამოცნობის სწავლებას თამაშის სახე მივცეთ და ეს პროცესი სახალისოდ ვაქციოთ მისთვის. სკოლაში კი პირველივე დღეებიდან საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების გამოყენება ასეთ ბავშვთან სწავლისადმი ინტერესის შესანარჩუნებლად;

•დროულად ვიზრუნოთ ბავშვში სასწავლო და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ეს მას დიდ დახმარებას გაუწევს სკოლისა და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და მოსწავლის როლის უმტკივნეულოდ, სირთულეების გარეშე მიღებაში.

•ეს დღე პედაგოგებისთვისაც ემოციურია.

•ესაა ემოციური ინტერაქციის დღე, რადგან ყველა ჩვენგანს გვაერთიანებს ადამიანური გრძნობები და ემოციები. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი რაღაც განგვასხვავებს, მთავარი მაინც ის არის რაც გვაკავშირებს და გვაერთიანებს. არ აქვს მნიშვნელობა ვის როგორ გვაცვია, გამოვიყურებით, როგორ ვსაუბრობთ, როგორი ხმის ტემბრი გვაქვს, ხასიათი თუ სამუშაო. ჩვენთვის სკოლა მხოლოდ სამუშაო გარემო კი არა ოჯახია, სადაც ყველა ისეთი უნდა იყოს, როგორიც არის და ისეთად ვიღებდეთ ერთმანეთს როგორებიც ვართ.

•როცა მეკითხებიან: რა უნდა ასწავლოს მასწავლებელმა, პირველ რიგში, ჩემი პასუხი არის ერთ სიტყვიანი ,,მიმღებლობა''. დღეს როცა ვუყურებთ ასეთ ფერად და გამორჩეულ სახეებს, როცა ვხედავთ პირველკლასელებს თვალებზე მობჯენილი ცრემლებით, ოდნავ ამღვრეული თვალებით, განსხვავებული სტილისა და გემოვნების თინეიჯერებს და მასწავლებლებს, რომლებიც ასევე განსხვავებულები და გამორჩეულები არიან, კიდევ უფრო მეტად ვრწმუნდები რომ მიმღებლობაა ის, რასაც უნდა ვასწავლიდეთ და ვაჩვენებდეთ. ჩვენ ყველანი ერთად და თანაბრად ვქმნით ამ დღესასწაულს. ეს დღე არის მრავალფეროვნების დღესასწაული, ამ დღეს ვერ დაიმალები აუდიტორიაში და ვერ ჩაიკეტები საპირფარეშოში, ხშირად ბავშვები კი არ,ა ჩვენც ასე ვიქცევით. ჩვენი პასუხისმგებლობაა, შევქმნათ სწორედ ასეთი სკოლა და არ მოგვერიდოს, არ დავმალოთ და არ შეგვეშინდეს იმ გრძნობების, ემოციების და პიროვნულობის ჩვენების, რომელიც მსგავსია მთელი სამყაროს მრავალფეროვნების.

გახსოვდეთ, რომ შეხვედრისთანავე თბილი მოკითხვა, ღიმილი ალღოგს ყინულს, მოსწავლეს უჩნდება განცდა, რომ მისით ინტერესდებიან, ის ახსოვთ. იგმეგა უხილავი ძაფები მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, რასაც მოჰყვება შემდგომი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

პოლიტიკური წყობის ელემენტები

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი

სტრუქტურა და პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი

1. სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში პარლამენტის როლი სრულიად განსაკუთრებულია: ტრადიციულად იგი უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ ითვლება, იღებს რა ოფიციალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და მათ აძლევს კანონის ფორმასა და ძალას. პარლამენტი ერთდერთი ორგანოა, რომელსაც შეუძლია კონტროლი განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე. თუმცა, თვით იმ ქვეყნებშიც კი, სადაც კონცეპტუალური თვალსაზრისით განცხადებულია პარლამენტის უზენაესობის დოქტორინა, როგორც -წესი, კონსტიტუცია არ შეიცავს პირდაპირ ფორმულირებას პარლამენტის უმაღლეს ორგანოდ აღიარების შესახებ. იშვიათ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს იაპონიის კონსტიტუცია, რომლის 41-ე მუხლის მიხედვით „პარლამენტი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ერთადერტი კანონმდებელი ორგანო“. საყურადღებოა, რომ მთელი რიგი ავტორიტეტული სახელმწიფოთმცოდნენი საეჭვოდ მიიჩნევენ პარლამენტის რეალურ უპირატესობას სახელმწიფოებრივ იერარქიაში. საერთოდ, პარლამენტარიზმის ოქროს ხანად მიიჩნევენ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისის ინგლისის, აშშ-სა და საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას.

2. თანამედროვე მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი. ერთპალატიანია არსებული პარლამენტი დანიაში, ფინეთში, შვეიცარიაში, საბერძნეთში და პორტუგალიაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში პარლამენტი - კონგრესი შედგება წარმომადგენელთა პალატისაგან და სენატისაგან, საფრანგეთში-ეროვნული კრებისა და სენატისაგან, იაპინიაში-წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატებისგან. დიდი ბრიტანეტში ფორმალურად მონარქისა და პალატებისგან შდგება, თუმცა როდესაც ბრიტანეთის პარლამენტზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ თემთა პალატა და ლორდთა პალატა. ესპანეთის გენერალური კორტესები შდგება კონგრესისა და სენატისაგან. გერმანიაში საერთო-ეროვნულ წარმომადგენლობით ორგანოდ გვევლინება ბუნდესტაგი, მაგრამ მის პარალელურად მოქმედებს აგრეთვე ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლობითი ორგანო - ბუნდესრატი, რომლის შუამდგომლობითაც ფედერაციული მიწები „მონაწილეებენ ფედერაციის კანონმდებლობასა და მართვაში“ (გერმანიის ძირითადი კანონი მუხლი 50). ამრიგად, გერმანიაში ფაქტიურად მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი.

3. პალატების პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება, რომლითაც ისინი არიან აღჭურვილნი, არაერთგვაროვანია: ქვედა პალატა ფორმირდება საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების შედეგად. ზედა პალატა ან საერთოდ არ არის არჩევითი (მაგ: დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატა), ან კიდევ აირჩევა ირიბი არჩევნების გზით (სენატი-საფრანგეთში). ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს პირდაპირი ხმის მიცემის წესს (აშშ, იტალია, იაპონია.) ზედა პალატის არჩევნებისას გამოიყენება დამატებითი შემზღუდველი ცენზი (უპ. ყოვლისა-ასაკობრივი). როგორც წესი, ეს უზრუნველყოფს ზედა პალატის შემადგენლობის საკმაო კონსერვატიულობას ქვედა პალატასთან შედარებით. გერმანიაში, მაგალითად, ბუნდესრატი შედგება ფედერაციული მიწების დანიშნული წევრებისგან, ან ე.წ. „ექს-ოფოციო“- ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირებისგან. მაგალითად, იტალიაში სენატის მუდმივ წევრად ითვლება ყველა ყოფილი პრეზიდენტი, ამას გარდა, იტალიის პრეზიდენტს უფლება აქვს კიდევ ხუთი „მუდმივი“ სენატორი დანიშნოს იმ პირთა რიცხვიდან, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვთ იტალიის რესპუბლიკის წინაშე.

4. პარლამენტის ზედა პალატას შედარებით ხანგრძლივი უფლებამოსილება გააჩნია. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმომადგენელთა პალატის წევრები აირჩევიან ორი წლის ვადით, ხოლო სენატორები-ექვსი წლით, საფრანგეთში-შესაბამისად ხუთი და ათი წლით, იაპონიაში-ოთხი და ექვსი წლით. მხოლოდ იტალიაში ემთხვევა ეს ორი ვადა და განისაძღვრება ხუთი წლით. აშშ-ში, იაპონიასა და საფრანგეთში ზედა პალატის შემადგენლობის განახლება ხდება ეტაპობრივად, თანდათანობით, რამაც უნდა უზრუნველყოს ზედა პალატის მოღვაწეობის სტაბილურობა და მემკვიდრეობითობა. ამასთან, ვადაზე ადრე მხოლოდ ქვედა პალატების დათხოვნა შეიძლება (დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, საფრანგეთში და სხვა).

5. როგორც წესი პარლამენტის უფლებამოსილების განხორციელებაში ორივე პალატა იღებს მონაწილეობას. კანონპრექტი ან პარლამენტის სხვა გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება თუ ორივე პალატის მიერ იქნა მოწონებული. თუ პალატებს შორის აზრთა სხვაობას აქვს ადგილი და ამავე დროს კანონით გათვალისწინებულმა შეთანხმებულმა პროცედურამ შედეგი ვერ გამოიღო, მაშინ უპირატესობა ერთ-ერთი პალატის პოზიციას მიენიჭება. მაგ, დიდ ბრიტანეთში ასეთ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თემთა პალატა, თუმცა ლორდთა პალატას შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და შეაჩეროს ჩვეულებრივი კანონპროექტის დამტკიცება ერთი წლით. ხოლო ფინანსური კანონისა (ბოლო) ორი თვით. საფრანგეთში პალატებს შორის უთანხმოებისას მთავრობა ითხოვს ეროვნული კრებისგან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას. ამიტომაა, რომ ამ შემთხვევაში მდგომარეობის ბატონ-პატრონად სწორედ მთავრობა გვევლინება და არა პარლამენტი ან მისი ერთ-ერთი პალატა.

გესიკ გიგოლაშვილი

გადარჩენისთვის ბრძოლა და სკანდალური სიყვარული – რა ღირს ფრიდა კალოს ტილოები დღეს

მექსიკელი ფერმწერი და მხატვარი ფრიდა კალო 1907 წელს მეხიკოში დაიბადა. მამამისი ფილერმო კალო გერმანულ-ებრაული წარმოშობის მხატვარი იყო, ფრიდას დედა კი ლამაზმანი მატილდა კალდერონი გახლდათ. 6 წლის ასაკში გოგონას პოლიომიელიტი განუვითარდა, რის გამოც ერთი ფეხის კიდური საგრძნობლად დაუთხელდა.

ფრიდა ამ ნაკლს წინდებითა და გრძელი კაბებით მალავდა.გამორჩეულ სტილთან ერთად - გადაბმული წარბები და შავი ულვაშები ფრიდას დანახვისას ყველასთვის



ეჭვიანი და მესაკუთრეც იყო.

კალოს ოჯახი რივერასა და მისი ქალიშვილის უერთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მათ შეუფერებელ წყვილად თვლიდნენ, თუმცა, წყვილი არავის უსმენდა. თუმცა დიეგო ძველ ჩვევებს არ ღალატობდა, ის სხვადასხვა ქალთან დადიოდა და მეტიც, დიეგოს ფრიდას უმცროს დასთან ჰქონდა ურთიერთობა. რივერამ კალოს რომანის შესახებ არ დაუმალა და ფრიდასთვის ეს სასტიკი დარტყმა აღმოჩნდა. ამ ამბიდან მალევე, ფრიდამ დასახიჩრებული ქალის პორტრეტი დახატა, რომლის ნატანჯი სხეული მის ტკივილს ზუსტად გადმოსცემდა.

1940 წელს წყვილი ერთმანეთს დაშორთვალშისაცემი იყო. მოგვიანებით ეს ფრიდას საკულტო იმიჯი გახდა, რომელმაც მხატვარს ბევრ პირად ტრაგედიასთან ერთად, მილიონებიც მოუტანა. ფრიდას კარიერა ხატვით არ დაწყებულა, მედიცინაზე შეყვარებული კალო მომავალ პროფესიას ეუფლებოდა, როდესაც საშინელი ტრაგედია მოხდა. 18 წლის ასაკში, სწრაფად მიმავალი ავტომობილი, რომელშიც ფრიდა იჯდა, ტრამვაის დაეჯახა, ფრიდა მძიმედ დაშავდა, ავარიამ ხერხემალი, ნეკნები და კუდუსუნი დაუზიანა.



33 ოპერაციისა და 28-ჯერ გამოცვლილი კორსეტის შემდეგ, კადა და მალევე, ერთ წელში ისინი კვლავ შერიგდნენ.

ლომ ცხოვრება მაინც განაგრძო. ინციდენტის შემდეგ, ფრიდამ მედიცინა მიატოვა და თავისი ცხოვრება ჰობის - მხატვრობას მიუძღვნა.

ცხოვრების თითქმის ნახევარი მან საწოლზე მიჯაჭვულმა გაატარა. სწორედ მაშინ დახატა ავტოპორტრეტების უმეტესი ნაწილი - ფრიდას 143 ტილოდან 55 ავტოპორტრეტია.

22 წლის ასაკში ფრიდამ მეხიკოს ერთ-ერთ პრესტიჟულ ინსტიტუტში ჩააბარა, სადაც თავის მომავალ მეუღლეს, მხატვარ დიეგო რივერას შეხვდა. დიეგო ფრიდაზე 20 წლით უფროსი იყო. დიეგოს კარგი იუმორის გრძნობა და საუბრის სასიამოვნო მანერა ჰქონდა, რაც ქალების მოხიბვლაში ეხმარებოდა, რივერა ამასთანავე საოცრად

1952 წელს ფრიდას მუხლამდე ფეხი მოჰკვეთეს, 1953 წელს ფრიდამ თავის მშობლიურ მეხიკოში პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო, მალევე სახელი საფრანგეთშიც გაითქვა და სიცოცხლის ბოლოს მას, როგორც საუკეთესო მხატვარს, უამრავ ქვეყანაში იცნობდნენ. 1954 წელს 47 წლის ასაკში ფრიდა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დღეს ფრიდა კალოს საკულტო მანუშევრები ჯამურად 80 მლნ დოლარზე მეტად ფასობს. აღსანიშნავია, რომ თავისი გამორჩეული და ემოციური ნამუშევრებით, კალომ წარუშლელი კვალი დატოვა ვიზუალური ხელოვნების სფეროში.მისი შედევრები დროსთან ერთად უფრო მეტად ფასობს.

2021 წელს მისი ერთ-ერთი ავტოპორტრეტი 34.9 მლნ დოლარად გაიყიდა. როდესაც, ჯერ კიდევ 2018 წელს აღნიშნული ტილო 9 მლნ დოლარად ფასობდა.

როგორც ცნობილია, მისი ტილოების ნაწილს კერძო კოლექციონერები ფლობენ. მთლიანობაში აუქციონზე მისი 100-ზე მეტი არტ-ნამუშევარი იქნა გაყიდული. თითოეული მათგანის ღირებულება რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს არ ჩამოუვარდებოდა.

Google-ის ხელოვნური ინტელექტის მორიგი სიახლე

მიმდინარე წლის დასაწყისში Google-მა წარმოადგინა Health Acoustic Representations ან HeAR, ბიოაკუსტიკური საძირკველის მოდელი, რომელიც შექმნილია მკვლევარებისთვის ისეთი მოდელების შესაქმნელად, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის ხმების მოსმენა და დაავადების ადრეული ნიშნების ამოცნობა.

სიახლე, რომელიც 300 მილიონ აუდიო მონაცემზე დაყრდნობით შეიქმნა, სწავლობს შაბლონების გარჩევას ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ბგერებში, რაც სამედიცინო აუდიო ანალიზისთვის მძლავრ საფუძველს ქმნის.

HeAR წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს აკუსტიკური ჯანმრთელობის კვლევაში. Google-ის მკვლევართა ჯგუფი იმედოვნებს, რომ სამომავლო სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს დახვეწენ და ტუბერკულოზის, გულ-მკერდის, ფილტვებისა და სხვა დაავადებებში ჯანმრთელობის შედეგებს გაუმჯობესებენ.

სიახლე საბოლოო სახით ჯერ, რა თქმა უნდა, არ არსებობს, თუმცა მეცნიერებთან ერთად სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებიც თანხმდებიან, რომ ჩანაფიქრი სრულიად უჩვეულოა და მას დიდი სამომავლო პერსპექტივა გააჩნია.

პარალიმპიური ჩემპიონებისთვის დაწესებული პრემიით საქართველო მსოფლიოში მეორეა

საქართველო პარალიმპიური ჩემპიონებისთვის დაწესებული პრემიის რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

ამერიკული ტელეკომპანია CNBC-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, პარალიმპიური ჩემპიონებისთვის დაწესებული ფულადი ჯილდოს მოცულობით საქართველოს მხოლოდ სინგაპური უსწრებს.

სტატიაში, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტისგან მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა, აღნიშნულია, რომ სინგაპური პარალიმპიურ ჩემპიონებს 380 000 აშშ დოლარს გადასცემს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პარალიმპიური ჩემპიონებისთვის დაწესებული პრემია კი მილიონი ლარია.

სტატიის თანახმად, მესამე ადგილზე საპრიზო თანხის მოცულობით არის ისრაელი - 273 000 აშშ დოლარით, ხოლო მომდევნო ადგილებს ინაწილებენ მალაიზია და ჰონგ-კონგი შესაბამისად 230 000 და 192 000 აშშ დოლარით.

პარიზი პარალიმპიურ თამაშებს 28 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე მასპინძლობდა. პარაოლიმპიადაზე 14 ქართველი სპორტსმენი 6 სახეობაში ასპარეზობდა.

ღამის სერენადები

21 აგვისტოს, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“, გაიხსნა ლიანა ისაკაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ (ფესტივალის დამუძნებელი ლიანა ისაკაძე).

სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ისაკაძემ ვრცლად ისაუბრა ლიანა ისაკაძის მიერ განვლილ შემოქმედების გზაზე. მან უღრმესი მადლობა გადაუხადა სასტუმრო „ბორჯომი ლიკანის“ ხელმძღვანელობას, ბორჯომის, ბათუმის, თბილისის მერიას, კულტურის სამინისტროს, „იმედის“, „რუსთავი-2“-ის სხვა ტელეარხებს.

საღამოს წამყვანი გახლდათ თამარ სადრაძე, რომელმაც მაყურებელს წარუდგინა ფესტივალის საბაზო ორკესტრი, საქართველოს ვირტუოზები“ (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე).

ფესტივალში მონაწილეობდნენ მარიო სტეფანო პრეტრუდარკი-ბანდონეონი, იტალია. ელვინ ხოჯა განიევი - ვიოლინო, აზერბაიჯანი/თურქეთი, მარიამ კიკალეიშვილი- მეცო-სოპრანო, საქართველო გიორგი და მარიამ ბუგიანიშვილები, საქართველო ანსამბლი ბორჯომი (ხელმძღვანელი გიორგი ბუგიანიშვილი). მათ საინტერესო პროგრამა შესთავაზეს მსმენელს. შესრულდა ანტონიო ვივალდის, ბელა ბარტოკის, ასტორ პიაცოლას, ფრანც შუბერტის, ვაჟა აზარაშვილის, რევაზ ლაღიძის და სხვების მუსიკალური ნაწარმოებები.

ღამის სერენადების საერთაშორისო ფესტივალი 23 აგვისტოს გაიმართა ბათუმში, ხოლო 15 სექტემბერს გაიმართება დედაქალაქში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სამხატვრო ხელმძღვანელს გიორგი ისაკაძეს მონვევისთვის და გაზეთ „ბორჯომის“ კორესპონდენტის ქალბატონ დალი ქურდაძეს მასპინძლობისთვის.

ნანა ჭიჭინაძე

„ხატვით გადმოვცემ ჩემს ემოციებს...“

სწავლობდა დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის თამარ მეფის სახელობის საპარტიარქოს სკოლაში, სადაც აქტიურად ჩაერთო სხვადასხვა აქტივობაში, როგორიცაა: თექასა და მინანქარზე მუშაობის დაუფლება, ასევე მუსიკალური საკრავების შესწავლა. ამჟამად თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტია. ხატვა ბავშვობიდან უყვარდა. ამბობს, რომ ახლაც ათენებს ღამეებს და ეს პროცესი სიამოვნებას ანიჭებს.

— ქეთი თოფალაშვილის *პერსონა.*

— ბავშვობის ტკბილი წლები ჩწემს სოფელში გავატარე. მშობლები ახლაც სამთაწყაროში ცხოვრობენ. წარმოშობით საინგილოდან ვართ, ჩემი მშობლები იქიდან არიან. მე კი მეათე კლასამდე სამთაწყაროს სკოლაში ვსწავლობდი. ყველაზე საინტერესოდ, ალბათ, ის მახსენდება, რომ ბავშვობაში ვხატავდი ფურცლებზე კაბების დიზაინს და ვცდილობდი, იდენტური თუ არა, მსგავსი მაინც შემეკერა. მთელი დღის განმავლობაში შემეძლო ასე ხატვა და კერვა. პარალელურად, უბნის ბავშვებთან ერთად ვატარებდი ძალიან კარგ დროს.

— სკოლაში გამოირჩეოდა თქვენი ნახატები. აქტიურად კი მეცხრე კლასიდან ხატავთ...

— დიახ, გამოირჩეოდა. საპრეზენტაციოდ ვხატავდი რუკებს, კიდევ სხვადასხვა ჩანახატს, რასაც თემა მოითხოვდა.

ხატვა აქტიურად მეცხრე კლასიდან დავიწყე. დღემდე ვინახავ ჩემს ნახატებს, რაც მახსენებს იმ ტკბილ მოგონებებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. მოტივაცია იყო მასწავლებლის შექება, როგორც სიტყვიერად, ასევე ნიშნებით.

ჩემი პროფესიის გამო, აქტიურად ვერ ვახერხებ ხატვისთვის დიდი დროის დათმობას, რადგან დიდ ენერგიას მოითხოვს, მაგრამ მუდამ ვცდილობ, ხელი შევუწყო მის განვითარებას.



— პირველი ნამუშევრები...

-პირველად, ვან გოგის „ვარსკვლავებიანი ღამე“ დავხატე. ძალიან მომწონდა პეიზაჟების ხატვა, მაგრამ იმ სიამოვნებას არ მანიჭებდა, რასაც ვეძებდი. შემდეგ, უკვე პორტრეტების ხატვა რომ ვცადე, მივხვდი, პორტრეტები უფრო ახლოს იყო ჩემს სულთან, ადამიანის თვალების ხატვა, განსაკუთრებით მოხუცების, დიდი სიამოვნებაა ჩემთვის.

— თბილისის თამარ მეფის სახელობის საპატრიარქოს სკოლაში სწავლობდით...

— თბილისში სასწავლებლად გადასვლამ ძალიან დიდი როლი შეასრულა, როგორც პიროვნული, აგრეთვე შემოქმედებითი უნარის განვითარებაში. იმის მიუხედავად, რომ პანდემიის გამო დიდი დრო არ გამიტარებია თბილისის სკოლაში, მაინც მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. მაგალითად, თექაზე რომ დავდიოდი, ჩემი ხედვები თექაზე გადამქონდა, ახალ ტექნიკასთან მქონდა შეხება, რაც ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

— სწავლა და შემოქმედებითი საქმიანობა ერთად?

— რა თქმა უნდა, რთულია, პროფესია და ხატვა ერთმანეთს შეუთავსო. ხშირად ხდება ისე, რომ სწავლის გამო ხატვას ვერ ვახერხებ. მაგრამ, როდესაც ხატვის სურვილი მიჩნდება, ყოველთვის პირველ ადგილზე ვაყენებ.

— როდის ხატავთ?

— ძალიან მიყვარს ღამით ხატვა. როდესაც ღამეს ვათენებ ხატვაში, ეს ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რადგან ყველაფერს გვერდზე ვდებ და დიდი დრო მაქვს, რომ მშვიდად ვხატო.

— ხატავთ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს. და მაინც, რომელს ანიჭებთ უპირატესობას? ვინ არიან პორტრეტების პროტოტიპები?

— ჩემთვის ყველაზე ახლოს მაინც გრაფიკული ნამუშევრებია. მათში, ფერწერულისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ ემოციას ვხედავ. ჩემთვის გამორჩეულია უცხო გარეგნობის ადამიანების ხატვა, განსაკუთრებით ბავშვების და მოხუცების, ძირითადად, მოხუცების ხატვა, როდესაც სიტყვებით კი არა, ხატვით გადმოვცემ მათდამი ჩემს დამოკიდებულებას.

— შთაგონება?

— როგორც უკვე აღვნიშნე, მოხუცთა თვალებში ვხედავ გავლილი ცხოვრების მთელ ისტორიას, მაქსიმალურად ვცდილობ, ჩანდეს ის ემოცია, რასაც მათ თვალებში ვხედავ.



— საყვარელი მხატვრები...

— ჩემთვის ძალიან გამორჩეული მხატვრები არიან — ნიკო ფიროსმანი და ამადეო მოდილიანი. სადაც ძალიან მიყვარს მისი სიტყვები: „როცა შევიცნობ შენს სულს, მაშინ დავხატავ შენს თვალებს“.

— ჰობი...

— ხატვა, კითხვა...

— ოჯახი...

— მყავს უსაყვარლესი მშობლები და ორი უფროსი და.

— რას ნიშნავს თქვენთვის ხატვა?

— ხატვა ჩემთვის არის ის კომფორტის ზონა, სადაც შემიძლია ჩემი უნარი, ხედვა და შესაძლებლობები გამოვავლინო.

— სამომავლო გეგმები...

— ამ ეტაპზე პრიორიტეტი ჩემი პროფესიაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სხვა პროფესიასაც აუცილებლად დავეუფლები, რადგან ძალიან მიყვარს სიახლეები და ვცდილობ, ბევრ რამეში განვვითარდე.

თამარ შაიშმელაშვილი

ულოცავენ!

სალომე პავლიაშვილს!

5 წლის იუბილეს გილოცავთ ჩვენო საყვარელო სალომე. იყავი ჯანრმთელი, გისურვებთ მთელი შენი ცხოვრება იყოს სიხარულით, ბედნიერებით, ღიმილითა და სიყვარულით სავსე. ძალიან გვიყვარხარ.

სიყვარულით,

დედა-შორენა, ძია-ზაზა, პაპა-ივერი და ბებია-თამრიკო.

გია ბოჭორიშვილს!

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრს, ბატონ გიას ვულოცავთ დაბადების დღეს, თქვენ ენკენისთვის პირველ ნახევარში მოევლინეთ ამ ქვეყანას და წიგნის სიყვარულს ბავშვობიდანვე ეზიარეთ... დედოფლისწყარო-თელავის მიკროავტობუსის მძღოლი ერთგულად ემსახურებით არჩეულ პროფესიას და დღესაც გზადაგზა სიყვარულს აფრქვევთ და უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებით მგზავრთა მომსახურებას.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია

ეს საინტერესოა!

29 თებერვალს დაბადება ძალიან იშვიათია, ასეთი ადამიანები იღბლიანებად ითვლებიან, მაგრამ როდის აღნიშნავენ დაბადების დღეს არანაკიან წლებში?

29 თებერვალს დაბადებულები დაბადების დღეს აღნიშნავენ 28 თებერვალს ან 1-ელ მარტს ოჯახის ტრადიციებიდან გამომდინარე. ზოგიერთი ადამიანი თავის არანაკიან დაბადების დღეს ითვლის შემდეგნაირად: თუ ისინი დაიბადნენ 29 თებერვალს 12:00 საათამდე, მაშინ ისინი აღნიშნავენ 28 თებერვალს. თუ მათი დაბადების დრო შუადღის შემდეგაა, მაშინ ის 1 მარტს აღინიშნება.

იყიდება!

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 09.09		სამშაბათი 10.09		ოთხშაბათი 11.09		ხუთშაბათი 12.09		პარასკევი 13.09		შაბათი 14.09		კვირა 15.09	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	26 °	15 °	27 °	16 °	29 °	16 °	28 °	16°	28 °	15 °	27°	15 °	27 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი